ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N55 დადგენილების
N1 დანართი

(კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით:
*14.08.2019; N94; **24.10.2024;** N06-01/90)*

კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესით რეგულირდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში ,,ბსუ“) საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (შემდგომში ,,პირველადი უსდ“) გადმოსვლისას (მობილობისას), ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისას (შიდა მობილობისას), აღდგენისას ან უცხოეთში სწავლისას სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგის აღიარების (შემდეგში ,,კრედიტების აღიარება“) , ასევე ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პირობები და პროცედურები.
2. კრედიტების აღიარება ემყარება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემასთან (ECTS) შესაბამისობას. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია სტუდენტზე და ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების, ცოდნის, უნარების და კომპეტენციების აღიარებას, ასევე სტუდენტთა მობილობის პროცესს.
3. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25-30 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. დასაშვებია, სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
4. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
5. **შეფასების სისტემა უშვებს:**

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (**FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით **დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;**

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

6. სამეცნიერო კომპონენტის შეფასების სისტემა გათვალისწინებულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

მუხლი 2. კრედიტების აღიარების კომისია და საქმისწარმოება

1. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის მიხედვით კრედიტების აღიარების პროცედურას წარმართავს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და ამ მიზნით ბსუ-ს თითოეულ ფაკულტეტზე, დეკანის ბრძანებით შექმნილი კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია (შემდეგში ,,კომისია“) ან კომისიები (ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით).

2. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელი/კოორდინატორი და/ან მის მიერ რეკომენდებული პირი/პირები (აკადემიური პერსონალი ან ხელშეკრულებით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი - საჭიროების შემთხვევაში);

ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

გ) ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სხვა წარმომადგენლები ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით.

3. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ და უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიის სხდომას წარმართავს თავმჯდომარე (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი). კრედიტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უმრავლესობით.

4. კომისიის თითოეული სხდომა აისახება ოქმში. მდივანი ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი.

5. პროგრამის ხელმძღვანელის/კომისიის გადაწყვეტილება ბსუ-ს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ ფორმდება დასკვნის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი ან, იმ შემთხვევაში როცა კომისია არ იქმნება - პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

6. კრედიტების აღიარების დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ამზადებს შესაბამის წარდგინებას.

7. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება, გადაგზავნა და საქმისწარმოების მასალების დადგენილი წესის შესაბამისად შენახვა ევალება შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

8. სტუდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტი (სასწავლო ბარათი, ცნობა ან სხვა) უნდა იყოს სათანადო წესით დამოწმებული.

9. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია, პროგრამის ხელმძღვანელი/კომისია უფლებამოსილია, სტუდენტს არ უღიაროს შესაბამისი კრედიტები.

10. უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენისას აღიარებადია:

ა) სავალდებულო და არჩევითი/თავისუფალი კრედიტები (თავისუფალ კრედიტად შეიძლება აღიარებულ იქნას ის სასწავლო კურსი, რომლის შესაბამისი სასწავლო კურსი გათვალისწინებულია ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით).

ბ) სასწავლო კურსის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, დასაშვებია იმ სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით.

11. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, არჩევით/თავისუფალ კრედიტებად ასაღიარებელი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის გადამეტების შემთხვევაში, კომისია ირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასებები აქვს მიღებული. სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია, აღიარებულ იქნას არა უმაღლესი შეფასებების მქონე, არამედ სტუდენტის მიერ გავლილი სხვა სასწავლო კურსი/კურსები გადმოყვანის წესით სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტის პროექტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნამდე.

12. სტუდენტს, შესაძლებელია, გაეწიოს რეკომენდაცია, თუ რომელ დამატებით (ე. წ. minor) საბაკალავრო პროგრამას შეესაბამება მისი ე. წ. თავისუფალი კრედიტები. დამატებითი სპეციალობის ფარგლებში კრედიტის აღიარების შემთხვევაში სტუდენტს არა აქვს სხვა დამატებითი სპეციალობის არჩევის უფლება, რაც მიეთითება აღიარების დასკვნაში.

მუხლი 3. კრედიტების აღიარების წესი

1. სასწავლო კურსების (საგნების) ათვისების შედეგად მიღებული კრედიტების აღიარება ხდება სწავლის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზის შედეგად (საჭიროების შემთხვევაში).

2. პროგრამის ხელმძღვანელი/კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს მოთხოვოს მის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსები. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ბსუ-ში აღდგენის წესით ჩარიცხულ სტუდენტებზე.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, შეიძლება აღიარებულ იქნას სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის. *(ცვლილება - 14.08.2019, N94)*

4. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო კურსის დასახელებასა და კრედიტების რაოდენობას, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარება შეიძლება მოხდეს ავტომატურად.

5. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება უნივერსიტეტის შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას, მაშინ ხდება იმდენი კრედიტის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს შესაბამისი პროგრამა (სავალდებულო კურსებისა და თავისუფალი/არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში).

6. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტები ნაკლებია ბსუ-ს შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტებზე, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარების საკითხს წყვეტს პროგრამის ხელმძრვანელი/კომისია სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის მიზნებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული სასწავლო კურსის აღიარების შემთხვევაში, კომისია სტუდენტს კრედიტებს უღიარებს იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მას ეს სასწავლო კურსი გავლილი აქვს პირველად უსდ–ში (დასაშვებია კრედიტების არა უმეტეს 30%-ით გადაჭარბებით აღიარება). *(ცვლილება - 14.08.2019, N94)*

7. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული განსხვავების მიუხედავად.

8. თუ სტუდენტს გავლილი აქვს მეორე უცხოური და/ან კლასიკური ენა, კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, მეორე უცხოური და/ან კლასიკური ენის კრედიტები აღიარებულ იქნას ე. წ. თავისუფალ კრედიტებად.
9. სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს ფაკულტეტების მართვის ორგანოებს.

მუხლი 4. ECTS-ს სისტემის გარეშე ათვისებული უმაღლესი განათლების აღიარება
1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის **(ECTS)** შესაბამისად.
2. შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპით:

ფრიადი (5)	95ქულა	A
კარგი (4)	85 ქულა	B
დამაკმაყოფილებელი (3)	65 ქულა	D

3. ე.წ. არადიფერენცირებული ,,ჩათვლის" აღიარება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: ე. წ. არადიფერენცირებულ "ჩათვლას" ენიჭება პირობითი ქულა: სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული (მთელ რიცხვამდე დამრგვალებული).
4. თუ სტუდენტის პირველადი უსდ იყენებს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემისაგან განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი უსდ–ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს მის შესაბამისობას ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან.
5. თუ სტუდენტის პირველად უსდ–ს არ გააჩნია სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების სისტემა, მაშინ სტუდენტი ვალდებულია, წარმოადგინოს პირველადი უსდ–ს მიერ გაცემული სასწავლო ბარათი (ოფიციალური დოკუმენტი), რომელშიც მითითებული იქნება: თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა (რამდენი კვირის მანძილზე სწავლობდა სტუდენტი ამ სასწავლო კურსს და კვირაში რამდენი საათი ეთმობოდა მას). აღნიშნული კურსებისთვის ხდება პირობითი კრედიტების მინიჭება შემდეგი სისტემის მიხედვით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს ემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები (საკონტაქტო საათების გამრავლებით კომისიის მიერ დადგენილ კოეფიციენტზე: 1,5–ზე ან სხვა ციფრზე) სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხოლო საათების მიღებული რაოდენობა იყოფა 25–ზე, ანუ 1 კრედიტის საათების რაოდენობაზე. აღნიშნული წესით დაანგარიშებული არამთელი კრედიტები დამრგვალდება მთელ რიცხვამდე.
6. აღდგენის წესით ჩარიცხული სტუდენტების მიერ გავლილი სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭება და სასწავლო კურსების შეფასების 5 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება ამ მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-3 პუნქტებში მოცემული წესის მიხედვით.
7. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და შესაბამისად, ბსუ-ში ინტეგრირებულ ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 2006 წლამდე არსებული საკრედიტო სისტემის ფარგლებში ათვისებული უმაღლესი განთლების სასწავლო კურსისთვის კრედიტის

მისანიჭებლად სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა მრავლდება 1,48-ზე, იყოფა 25-ზე და მრგვალდება მთელ რიცხვამდე. მიღებული შედეგი ითვლება სასწავლო კურსის მოცულობად კრედიტებში. მოცემული შეფასების 100 ქულიანი სისტემის გადაყვანა ECTS-ის შეფასების სისტემაზე უნდა მოხდეს შემდეგი წესით:

ა) 41-51 ქულა - 51 ქულა (E საკმარისი);
ბ) 52-63 ქულა -63 ქულა (D დამაკმაყოფილებელი);
გ) 64 – 75 ქულა - 75 ქულა (C კარგი);
დ) 76 – 87 ქულა - 87 ქულა (B ძალიან კარგი);
ე) 88 – 95 ქულა - 95 ქულა (A ფრიადი);
ვ) 96 ქულა და მეტი -100 ქულა (A ფრიადი).

მუხლი 5. სემესტრის განსაზღვრა აღიარებული კრედიტების მიხედვით

1. ბსუ-ში მობილობის/შიდა მობილობის/ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების (სტუდენტის სტატუსის გააქტიურების), პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით ბსუ-ში ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ათვისებული კომპონენტების/სასწავლო კურსების აღიარების შემთხვევაში, აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე **სტუდენტს განესაზღვრება სწავლების სემესტრი,** წინამდებარე წესზე თანდართული სქემის მიხედვით **(წესის ფორმა N1).** ბსუ-ს გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ საერთაშორისო მობილობის პერიოდში მიღებული განათლების (რა დროსაც ბსუ-ში არ უჩერდება სტუდენტის სტატუსი) ბსუ-ს შესაბამისი **ფაკულტეტის მიერ აღიარების შემთხვევაში,** როცა სტუდენტი უწყვეტად აგრძელებს სწავლას ბსუ-ში, **დასაშვებია არ განესაზღვროს მას განსხვავებული სემესტრი** (თუკი აღიარებული კრედიტების სიმცირის გამო, ამას ითვალისწინებს ამ წესის N1 სქემა), **მხოლოდ სტუდენტის განცხადების საფუძველზე და თანხმობით** (სტუდენტის თანხმობის მიღებამდე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტს განემარტება/გაეწევა კონსულტაცია პროგრამის ოპტიმალური ვადის/პროგრამის სასწავლო გეგმისა და სტუდენტის სასწავლო ბარათის მონაცემებით, მის მიერ სასწავლო კურსების აკადემიური რეგისტრაციის მოსალოდნელი შედეგების შესახებ, რაც ფაკულტეტის მიერ აისახება კრედიტების აღიარების დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერს ასევე სტუდენტი). *(ცვლილება - 24.10.2024, N06-01/90)*

2. პროგრამის ხელმძღვანელს/კომისიას უფლება აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგალითად: თუ შესასწავლი სასწავლო კურსებით გათვალისწინებული წინაპირობები არ არის ათვისებული ან სხვა ობიექტური მიზეზით), დაადგინოს დამატებითი შეზღუდვები და სწავლების გაგრძელების შესაძლებლობა დაუშვას ამ მუხლში მოცემული სქემით განსაზღვრულზე დაბალი ეტაპიდან (სემესტრიდან).

მუხლი 6. უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

1. ბსუ-ს სტუდენტი განცხადებით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების/მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მოთხოვნით.

2. სტუდენტის განცხადებაში **(თანდართული ფორმა N2)** უნდა მიეთითოს: უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში „უცხოეთის უსდ“) დასახელება, ფაკულტეტი, სპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის პერიოდი, გავლილი სასწავლო კურსები/მოდულები, მიღებული შეფასებები, მინიჭებული კრედიტები (მათი არსებობის შემთხვევაში) ან/და სასწავლო კურსების მოცულობა საათებში, შესრულებული კვლევითი სამუშაო ან გავლილი პრაქტიკა უცხოეთის უსდ-ში ან შესაბამისი პროფილის ორგანიზაციაში (სტუდენტის მიერ კვლევაზე/პრაქტიკაზე დახარჯული საათების რაოდენობა).

3. უცხოეთში ათვისებული კრედიტების აღიარების შესახებ სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს უცხოეთში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასწავლო ხელშეკრულება (learning agreement) და სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტზე გაცემული ნიშნების ფურცელი (transcript of records) გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების, კრედიტების რაოდენობისა და მიღებული შეფასების მითითებით) და მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი. *(ცვლილება - 14.08.2019, N94)*

4. დასკვნის მომზადების შემდეგ სტუდენტი მიმართავს საჯარო სამართლის იურიდიული პირს - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით. *(ცვლილება - 14.08.2019, N94)*

5. *(ამოღებულია - 14.08.2019, N94)*

6. თუ სტუდენტი უცხოეთის უსდ-ში/შესაბამისი პროფილის ორგანიზაციაში ასრულებს კვლევით სამუშაოს ან გადის პრაქტიკას, მან უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ გაცემული და უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული იქნება: სტუდენტის მიერ შესრულებული კვლევითი სამუშაო/გავლილი პრაქტიკა (მოკლე აღწერილობა), კვლევაზე/პრაქტიკაზე დახარჯული საათების რაოდენობა, ECTS კრედიტები და მიღებული შეფასება (არსებობის შემთხვევაში).

7. თუ უცხოეთის უსდ ვერ უზრუნველყოფს სტუდენტს სასწავლო ხელშეკრულებითა და ნიშნების ფურცლით, მაშინ სტუდენტმა უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ გაცემული და უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება მის მიერ გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების სახელწოდება, კრედიტების რაოდენობა და მიღებული შეფასება.

8. თუ უცხოეთის უსდ იყენებს სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემისაგან (ECTS) განსხვავებულ სისტემას, მაშინ სტუდენტმა უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს უცხოეთის უსდ–ს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება ამ სისტემის შესაბამისობა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან.

9. თუ უცხოეთის უსდ–ს არ გააჩნია სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების სისტემა, მაშინ სტუდენტმა უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს დოკუმენტი (ნიშნების ფურცელი, ან სასწავლო ბარათი, ან სწავლის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი), სადაც მითითებული იქნება თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის მოცულობა (სემესტრული საკონტაქტო საათები). აღნიშნულ კურსებს ენიჭება პირობითი კრედიტები ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების წესის შესაბამისად.

10. თუ უცხოეთის უსდ იყენებს შეფასების არა 100-ქულიან, არამედ განსხვავებულ სისტემას, მაშინ სტუდენტმა უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს უცხოეთის უსდ–ს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც განმარტებული იქნება შეფასების ეს სისტემა და მისი შესაბამისობა შეფასების 100 ქულიან სისტემასთან.

11. უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარება ხდება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადებითი დასკვნის წარმოდგენის პირობით. სტუდენტს აკადემიური ხარისხი მიენიჭება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

12. უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი განათლების აღიარების განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ ცენტრი ადგენს სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის

სწავლის შედეგებთან. ცენტრი მიმართავს ბსუ-ს, სტუდენტის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული უმაღლესი განათლების ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (ცენტრის მიმართვას, როგორც წესი, თან ერთვის სტუდენტის მიერ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაციის ასლები).

13. ცენტრი აღიარებს პირის მიერ უცხო ქვეყნის აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოპოვებულ სწავლის შედეგებს, ხოლო უცხოეთში სწავლის პერიოდში (სამეცნიერო ნაშრომის დასრულებამდე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტის აღიარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ბსუ.

14. *(ამოღებულია - 14.08.2019, N94)*

15. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი და ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად. დასაშვებია ასევე იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით.

16. ბსუ უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

17. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, შეიძლება აღიარებულ იქნას სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის. *(ცვლილება - 14.08.2019, N94)*

18. აღიარების დასკვნა ფორმდება ამ წესის შესაბამისად, რომელშიც მიეთითება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ბსუ-ს პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

19. თუ უცხოეთის უსდ–ში მოქმედი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს არა ქულებს, არამედ შეფასების აღმნიშვნელ ლათინურ ასოებს (A, B, C, D, E, A+, A, A- და სხვ.) ან სიტყვიერ განსაზღვრებას (ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, საკმარისი) და არ არსებობს ამ სისტემის განმარტების ოფიციალური დოკუმენტი, მოცემული სისტემის გადაყვანა უნივერსიტეტში მოქმედ სისტემაზე უნდა მოხდეს შემდეგი წესით:

A +	ფრიადი	100
A	ფრიადი	95
A -	ფრიადი	91
B +	ძალიან კარგი	90
B	ძალიან კარგი	85
B -	ძალიან კარგი	81
C +	კარგი	80
C	კარგი	75
C -	კარგი	71
D +	დამაკმაყოფილებელ	70
D	დამაკმაყოფილებელ	65
D -	დამაკმაყოფილებელ	61
E +	საკმარისი	60
E	საკმარისი	55
E -	საკმარისი	51

20. თუ უცხოეთის უსდ იყენებს აღნიშნული მუხლის მე–19 პუნქტში მითითებული შეფასების სისტემებისგან განსხვავებულ სისტემას, პროგრამის ხელმძღვანელი/კომისია უფლებამოსილია დაადგინოს ამ სისტემის შესაბამისობა უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემასთან.
21. თუ უცხოეთის უსდ ვერ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტის სრულ სემესტრულ მომსახურებას და სტუდენტი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ აბარებს დასკვნით გამოცდებს და, შესაბამისად, მას ვერ ენიჭება კრედიტები, მაშინ მან უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს უცხოეთის უსდ–ს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება მის მიერ გავლილი სასწავლო კურსების მოცულობა (სემესტრული საკონტაქტო საათები) და სტუდენტის შუალედური შეფასებები. დასკვნით გამოცდას სტუდენტი აბარებს შესაბამის ფაკულტეტზე/საგამოცდო ცენტრში ინდივიდუალური წესით, აღნიშნულ კურსთან თავსებად საგანში.
22. თუ უცხოეთის უსდ/შესაბამისი პროფილის ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტის სრულ სემესტრულ მომსახურებას და სტუდენტი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ იღებს შეფასებას/კრედიტს მის მიერ შესრულებულ კვლევით სამუშაოში/გავლილ პრაქტიკაში, მაშინ შეფასებას და შესაბამისი კრედიტების მინიჭებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი/კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის საკვლევი თემის/პრაქტიკის პროფილის შესაბამისი აკადემიური პერსონალი. შეფასება და კრედიტების მინიჭება ხდება უცხოეთის უსდ-ს/შესაბამისი პროფილის ორგანიზაციის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტის და სტუდენტის მიერ შესრულებული კვლევითი სამუშაოს/პრაქტიკის შედეგების შეფასების საფუძველზე.
23. უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ უცხოეთის უსდ–ში გასავლელი სასწავლო კურსები/კვლევითი სამუშაო/პრაქტიკა **წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული** შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან (კოორდინატორთან) და/ან პროგრამის ხელმძღვანელთან/კომისიასთან.
24. უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულებას ხელმოწერით ადასტურებს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების ხელმოწერის უფლებამოსილების მქონე პირი/პირები. სტუდენტს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ დამატებით განემარტება, რომ უცხოეთის უსდ–ში გავლილი კურსების/მოდულების თავსებადობას უნივერსიტეტის კურიკულუმთან და სტუდენტის მიერ არჩეულ ძირითად და დამატებით პროგრამებთან დაადგენს პროგრამის ხელმძღვანელი/კომისია.
25. გამონაკლისის სახით, სტუდენტის მიერ უცხოეთის უსდ–ში მიღებული ე. წ. „არადიფერენცირებული ჩათვლა" შეიძლება აღიარებულ იქნას კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის მიერ იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება, რომ უცხოეთის უსდ– ს აღნიშნულ სასწავლო კურსში დიფერენცირებული (ქულობრივი)შეფასება არ გააჩნია. ამ შემთხვევაში ე. წ. ,,არადიფერენცირებულ ჩათვლას" ენიჭება პირობითი ქულა ამ წესის მიხედვით.
26. პროგრამის ხელძღვანელმა/კომისიამ შეიძლება აღიაროს სტუდენტის მიერ უცხოეთის უსდ–ში გავლილი ისეთი სასწავლო კურსი, რომელსაც არ ითვალისწინებს უნივერსიტეტის კურიკულუმი, მაგრამ რომელიც მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტუდენტის კვალიფიკაციისა და პროფესიული განვითარებისათვის.
27. ბსუ-ს მიერ გაცემული აღიარების დასკვნის გათვალისწინებით, ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე. აღიარებას ექვემდებარება კრედიტების ის რაოდენობა, რაც გათვალისწინებულია მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულების თავსებადი სასწავლო კურსისათვის. ცენტრის

დასკვნის გათვალისწინებით კი, გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება კრედიტების აღიარების თაობაზე, რაც აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
28. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის მიღების მომენტში ცენტრში შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს ან/და საგანმანათლებლო დოკუმენტის გამცემი დაწესებულების მიერ დადასტურებული არ არის უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა, გამოიცემა პირობითი გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება ბათილია გამოცემის მომენტიდან, თუ არ დადასტურდება უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა. აქედან გამომდინარე, ბათილად იქნება ცნობილი ბსუ-ს რექტორის ბრძანებაც სტუდენტისათვის შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

1. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტს ეძლევა არჩევანის საშუალება - პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სწავლა განაგრძოს მოდიფიცირებულ პროგრამაზე, ხოლო გაუქმების შემთხვევაში სწავლა განაგრძოს თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მობილობის წესით გადავიდეს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
2. შეცვლილ/გაუქმებულ პროგრამაზე სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება ხდება ამ წესის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტების აღიარების შედეგად სტუდენტს დააკლდება შესაბამისი აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, იგი უფლებამოსილია აინაზღაუროს დანაკლისი წელიწადში 75 კრედიტის ფარგლებში (სემესტრში 35-40 კრედიტი) დამატებითი სწავლის საფასურის გადახდის გარეშე.
3. თუ უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამა, აღნიშნული პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების მიღებამდე უნივერსიტეტი სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის ფარგლებში კრედიტების აღიარების თაობაზე აფორმებს ხელშეკრულებას სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს გაუქმებულ ან მასთან თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე პროგრამას და სადაც შესაძლებელია გადავიდეს შეცვლილი/გაუქმებული პროგრამის სტუდენტი მობილობის წესით. მიღებული გადაწყვეტილების და ხელშეკრულების შესახებ ეცნობება საჯარო სამართლის იურიდიული პირს - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

„კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის“

N1 ფორმა

(ცვლილება - 24.10.2024, N06-01/90)

ბსუ-ში განხორციელებული მობილობის/შიდა მობილობის/სასწავლო პროცესში დაბრუნებისას კრედიტების აღიარების დასკვნის მოსამზადებლად სახელმძღვანელო სქემა

(**შენიშვნა:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 ივნისის N03 ბრძანებით დამტკიცებული **„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“:**

მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „1. კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის (გარდა სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა) და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს.“

მე-2[1] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.“)

(**შენიშვნა:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 ივნისის N03 ბრძანებით დამტკიცებული **„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ 2[1] მუხლის („სასწავლო კვირა/სემესტრი/აკადემიური წელი“) მე-6 პუნქტის თანახმად,**

„6. <u>დიპლომირებული მედიკოსის</u> საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა <u>ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით,</u> დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში <u>60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.“</u>

ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა მოცულობა **120 კრედიტია, ხოლო ხანგრძლივობა - 2 წელი:**	**შემოდგომის სემესტრისათვის**		**გაზაფხულის სემესტრისათვის**	
	აღიარებული კრედიტის რაოდენობა	**განესაზღვრება სწავლების სემესტრი**	**აღიარებული კრედიტის რაოდენობა**	**განესაზღვრება სწავლების სემესტრი**
	0 - 44 კრედიტი	I სემესტრი	0-74 კრედიტი	II სემესტრი
	45 კრედიტი და მეტი	III სემესტრი	75 კრედიტი და მეტი	IV სემესტრი
ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო	**შემოდგომის სემესტრისათვის**		**გაზაფხულის სემესტრისათვის**	

პროგრამებისთვის, რომელთა მოცულობა **180 კრედიტია, ხოლო ხანგრძლივობა - 3 წელი** (გარდა ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებისა):	**აღიარებული კრედიტის რაოდენობა**	**განესაზღვრება სწავლების სემესტრი**	**აღიარებული კრედიტის რაოდენობა**	**განესაზღვრება სწავლების სემესტრი**
	0-29 კრედიტი	I სემესტრი	0-64 კრედიტი	II სემესტრი
	30 - 104 კრედიტი	III სემესტრი	65 - 139 კრედიტი	IV სემესტრი
	105 კრედიტი და მეტი	V სემესტრი	140 კრედიტი და მეტი	VI სემესტრი

ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა **მოცულობა 240 კრედიტია,** ხოლო ხანგრძლივობა **- 4 წელი:**	**შემოდგომის სემესტრისათვის**		**გაზაფხულის სემესტრისათვის**	
	აღიარებული კრედიტის რაოდენობა	**განესაზღვრება სწავლების სემესტრი**	**აღიარებული კრედიტის რაოდენობა**	**განესაზღვრება სწავლების სემესტრი**
	0-14 კრედიტი	I სემესტრი	0 - 49 კრედიტი	II სემესტრი
	15-89 კრედიტი	III სემესტრი	50-124 კრედიტი	IV სემესტრი
	90-164 კრედიტი	V სემესტრი	125-199 კრედიტი	VI სემესტრი
	165 კრედიტი და მეტი	VII სემესტრი	200 კრედიტი და მეტი	VIII სემესტრი

ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა **მოცულობა 300 კრედიტია, ხოლო ხანგრძლივობა - 5 წელი** („სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა):	**შემოდგომის სემესტრისათვის**		**გაზაფხულის სემესტრისათვის**	
	აღიარებული კრედიტის რაოდენობა	**განესაზღვრება სწავლების სემესტრი**	**აღიარებული კრედიტის რაოდენობა**	**განესაზღვრება სწავლების სემესტრი**
	0-9 კრედიტი	I სემესტრი	0 - 34 კრედიტი	II სემესტრი
	10- 74 კრედიტი	III სემესტრი	35- 109 კრედიტი	IV სემესტრი
	75-149 კრედიტი	V სემესტრი	110-184 კრედიტი	VI სემესტრი
	150 – 224 კრედიტი	VII სემესტრი	185 – 259 კრედიტი	VIII სემესტრი
	225 კრედიტი და მეტი	IX სემესტრი	260 კრედიტი და მეტი	X სემესტრი

	შემოდგომის სემესტრისათვის		**გაზაფხულის სემესტრისათვის**	
ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა **მოცულობა 360 კრედიტია, ხოლო ხანგრძლივობა - 6 წელი** („მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი) და „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი))	**აღიარებული კრედიტის რაოდენობა**	**განესაზღვრება სწავლების სემესტრი**	**აღიარებული კრედიტის რაოდენობა**	**განესაზღვრება სწავლების სემესტრი**
	0 - 44 კრედიტი	I სემესტრი	0 - 74 კრედიტი	II სემესტრი
	45 - 104 კრედიტი	III სემესტრი	75 - 134 კრედიტი	IV სემესტრი
	105 - 164 კრედიტი	V სემესტრი	135 - 164 კრედიტი	VI სემესტრი
	165 – 224 კრედიტი	VII სემესტრი	165 – 194 კრედიტი	VIII სემესტრი
	225 - 284 კრედიტი	IX სემესტრი	195 - 254 კრედიტი	X სემესტრი
	285 კრედიტი და მეტი	XI სემესტრი	255 კრედიტი და მეტი	XII სემესტრი

ბსუ-ს **სადოქტორო საგანმანათლებლო** პროგრამებისთვის (ხანგრძლივობა - 3 წელი; **სასწავლო კომპონენტი** - არაუმეტეს 60 კრედიტი)	**შემოდგომის სემესტრისათვის აღიარებული სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში**		**გაზაფხულის სემესტრისათვის აღიარებული სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში**	
	აღიარებული სასწავლო კომპონენტების კრედიტის რაოდენობა	განესაზღვრება სწავლების სემესტრი	აღიარებული კრედიტის რაოდენობა	განესაზღვრება სწავლების სემესტრი
	0 - 24 კრედიტი	I სემესტრი	0 - 60 კრედიტი	II სემესტრი
	25 - 60 კრედიტი	III სემესტრი		
ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე მობილობის მსურველის/დოქტორანტობის კანდიდატის/სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველის (სტატუსშეჩერებული პირის სასწავლო პროცესში დაბრუნების შემთხვევაში) **სწავლების სემესტრი განისაზღვრება სადოქტორო პროგრამაზე მიმღები კომისიის/საფაკულტეტო** კომისიის მიერ, დოქტორანტის მიერ ათვისებული/შესრულებული **სასწავლო კომპონენტისა აღიარებისა და სამეცნიერო კომპონენტის შეფასების საფუძველზე** (შესაბამისი არგუნემტირებული დასაბუთებით), საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების შესაბამისად, ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.				

(**შენიშვნა:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანებით დამტკიცებული **„საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“** (N1 დანართი) **მე-7 მუხლის მე-9** პუნქტის თანახმად:

„9. ცენტრი აღიარებს პირის მიერ უცხო ქვეყნის აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოპოვებულ სწავლის შედეგებს, ხოლო <u>უცხოეთში სწავლის პერიოდში (სამეცნიერო ნაშრომის დასრულებამდე) **სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის** ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტის აღიარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ის</u> უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც პირს სურს სწავლის გაგრძელება.“

„კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის“

N2 ფორმა

ბსუ-ს _____ ფაკულტეტის დეკანს,

ქ–ნ/ბ–ნ _____

_____ (სახელი, გვარი)

განცხადება

გთხოვთ, მიღიაროთ უცხოეთში სწავლის პერიოდში, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტები/მიღწეული სწავლის შედეგები.

უცხოეთის უსდ-ს/ორგანიზაციის დასახელება:
ფაკულტეტი:
სპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა:
სწავლის პერიოდი:

გავლილი სასწავლო კურსი/მოდული/ შესრულებული კვლევითი სამუშაო/ გავლილი პრაქტიკა	**მიღებული შეფასება** (არსებობის შემთხვევაში)	**კრედიტი** (არსებობის შემთხვევაში) **ან კურსის/კვლევითი სამუშაოს/პრაქტიკის მოცულობა** (სემესტრული საკონტაქტო საათების რაოდენობა)

სახელი, გვარი:

ხელმოწერა:

თარიღი: